

შემოქმედებითი ევროპა

განხორციელების ვადა: 01.01.2021 - 31.12.2027

EaP ქვეყნები:

მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის € 2 440 000 000

წვლილი:

მთლიანი € 2 440 000 000


ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

EACEA (European Education and Culture Executive Agency)

პროექტის ვებსაიტები: ec.europa.eu/culture/creative-europe

პროექტის აღწერა:



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

Facebook: @CreativeEuropeEU, Twitter: @europe_creative, Instagram: @creative.eu, Facebook page of the Creative Europe Desk Ukraine: @creativeeurope.in.ua, Instagram of the Creative Europe Desk Ukraine: @ced.ukraine, YouTube: Creative Europe Desk Ukraine,

ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ ხელს უწყობს კულტურის და შემოქმედებითი სექტორების განვითარებას. 2021-2027 წლების განმავლობაში „შემოქმედებითი ევროპა“ დააფინანსებს საქმიანობას, რომელიც აძლიერებს კულტურულ მრავალფეროვნებას და კულტურის და შემოქმედებითი სექტორის მოთხოვნებს და გამოწვევებს პასუხობს. ის ხელს შეუწყობს ამ სექტორების აღორძინებას ქვემოთ ჩამოთვლილ ამოცანებზე ორიენტირებით, როგორცაა ციფრული განვითარება, მდგრადობის და ინკლუზიურობის გაუმჯობესება. „შემოქმედებითი ევროპა“ ხელს უწყობს იმ ძალისხმევას და საუკეთესო პრაქტიკას, რომელთა საშუალებით ევროკომისიის ძირითადი პრიორიტეტები - მწვანე შეთანხმება, ინკლუზიურობა და გენდერული ბალანსი მიიღწევა. „შემოქმედებითი ევროპა“ სამ მიმართულებად იყოფა: კულტურა - კულტურის და შემოქმედებითი სექტორების მოცვა (გამონაკლისია აუდიო-ვიზუალური და კინოს სექტორები); მედია - მოიცავს აუდიო-ვიზუალურ და კინოს სექტორებს; სექტორთაშორისი - თანამშრომლობის ხელშეწყობა ყველა შემოქმედებითი სექტორში და ახალი ამბების მედია-სექტორში.

მოსალოდნელი შედეგები:

1. კულტურის მიმართულება: აქცენტის გაძლიერება ევროპულ სახელმწიფოთაშორის შემოქმედებაზე, ნაშრომების ცირკულაციაზე, და კულტურის და შემოქმედებითი სფეროს ინოვაციაზე; „შემოქმედებითი ევროპის“ დაფინანსებაზე გამარტივებული წვდომა თანადაფინანსების წილის გაზრდით; სპეციალურად მორგებული მობილობის სქემები ხელოვნების მუშაკებისა და პროფესიონალებისთვის; საქმიანობა, რომლის სამიზნეა სექტორისთვის სპეციფიკური საჭიროებები მუსიკის, ლიტერატურის, არქიტექტურის, კულტურული მემკვიდრეობის, დიზაინის, მოდის და კულტურული ტურიზმის სექტორებში.
 2. მედიის მიმართულება: თანამშრომლობის ხელშეწყობა როგორც ფასეულობათა ჯაჭვის, ისე ევროკავშირის დონეზე, რათა გლობალურად გაიზარდოს აუდიო-ვიზუალური ნაშრომების მასშტაბი და ევროპული კონტენტი; ტალანტების აღზრდა მათი წარმომავლობის მიუხედავად, მეტი ჩართულობა და თანამშრომლობა ქვეყნებს შორის; ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა ციფრული ტრანსფორმაციით სრულად სარგებლობის მიზნით; მრეწველობის ეკოლოგიურად გარდაქმნის მხარდაჭერა და სოციალური ამოცანების, კერძოდ გენდერული ბალანსის და მრავალფეროვნების ჩართვა.
 3. სექტორთაშორისი მიმართულება: თანამშრომლობა ტრანსნაციონალური პოლიტიკის კუთხით: პროგრამების ცოდნის ხელშეწყობა და შედეგების გავრცელების მხარდაჭერა.
- შემოქმედებითი ინოვაციის ლაბორატორიები: კულტურის და შემოქმედებითი სექტორებს შორის ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა კონტენტის შექმნის, წვდომის, გავრცელების და პოპულარიზაციის პროცესში. ახალი ამბების მედია: მედია-ინგინიერების, ხარისხიანი ჟურნალისტიკის, მედიის თავისუფლების და პლურალიზმის მხარდაჭერა.